


შეკრების თავისუფლება საქართველოში: დაცული სფერო, სახელმწიფოს ვალდებულებები და არსებული გამოწვევები

მათე სამხარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*



საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მათე სამხარაძე

2025 წელი

აბსტრაქტი

შეკრების თავისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პროცესში. იგი წარმოადგენს მოქალაქეთა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად ფორმასა და დემოკრატიული მმართველობის განმსაზღვრელ მექანიზმს. საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში შეკრებებს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ის იყო როგორც ეროვნული თვითშეგნების გამმაფრების, ისე ცვლილებების ინიცირების ინსტრუმენტი.

ბოლო წლებში შესამჩნევად გაიზარდა საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების რაოდენობა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული საკითხების ირგვლივ და მეტიც, საქართველოში უწყვეტი შეკრებები უკვე რამდენიმე ასეული დღეა მიმდინარეობს. ეს ტენდენცია ასახავს მოქალაქეთა მზარდ სამოქალაქო ცნობიერებასა და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის სურვილს.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია შეკრების სამართლებრივი შეფასება - რამდენად ეფექტურად ასრულებს სახელმწიფო დაკისრებულ ვალდებულებებს შეკრებების ორგანიზების, მონაწილეთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. საყურადღებოა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მწვავე კრიტიკის საგანი გახდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმ ძირითადი გამოწვევების გამოკვეთა, რომელიც ამ უფლებას საქართველოში ახლავს. კვლევა ასევე შეეცდება რეკომენდაციების წარმოდგენას - სამართლებრივი მექანიზმების გაუმჯობესებისა და შეკრების თავისუფლების პრაქტიკული რეალიზების ხელშესწეობად.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სისტემური ანალიზის, დოქტრინალური კვლევის, შედარებით-სამართლებრივი და აღწერილობითი კვლევის მეთოდები.

კვლევამ გამოავლინა სისტემური ხარვეზები როგორც საქართველოს კანონმდებლობაში, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაში, რომელიც ნაშრომის ბოლოს დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით არის შეჯამებული.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: შეკრების თავისუფლება, დაცული სფერო, სახელმწიფოს ვალდებულებები, საკანონმდებლო ცვლილებები.

Abstract

The freedom of Assembly plays a vital role in the formation and development of a democratic society. It constitutes one of the fundamental forms of political, social, and cultural engagement by the citizens and serves as a defining mechanism of democratic governance. In the context of Georgia's statehood, assemblies have historically held particular significance – acting both as instruments for enhancing national consciousness and as catalysts for political and social change.

In recent years, there have been a noticeable increase in the number of public assemblies and demonstrations concerning political, socio-economic, and cultural issues. Moreover, continuous protests have been ongoing in Georgia for several hundred days. This trend reflects a growing sense of civic awareness and an increasing desire among citizens to participate in democratic processes.

Today, the legal assessment of the right to assembly has become especially relevant – particularly in regard to how effectively the state fulfills its obligations in facilitating assemblies, protecting participants and ensuring public safety. Of special concern are the recent amendments to the Law on Assemblies and Manifestations, which have been sharply criticized by numerous international and local organizations.

The objective of this paper is to identify the main challenges associated with the exercise of the right in Georgia. The study also seeks to provide recommendations aimed at improving legal mechanisms and supporting the effective realization of the freedom of assembly in practice.

The research employs methods of system analysis, doctrinal research, comparative legal analysis and descriptive inquiry.

The study also draws upon a range of scholarly works and court decisions, which contribute significantly to the interpretation of vague legal definitions and the establishment of practical standards.

The findings of the research reveal systemic shortcomings both in Georgian legislation and in its implementation, which are summarized in the concluding section of the paper in the form of key findings and policy recommendations.

Keywords: freedom of assembly, protected sphere, state obligations, legislative amendments